საქსტატი
www.geostat.ge

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

სასაკლაოების, ელევატორებისა და სამაცივრე მეურნეობების გამოკვლევის ძირითადი შედეგები

2019 წლის III კვარტალი

19.11.2019

www.geostat.ge

19.11.2019

სასაკლაოების, ელევატორებისა და სამაცივრე მეურნეობების გამოკვლევის ძირითადი შედეგები

(2019 წლის III კვარტალი)

სასაკლაოები

2019 წლის III კვარტალში საქართველოში 98 ერთეული ცხოველთა და ფრინველთა სასაკლაო ფუნქციონირებდა, მათგან 23.5 პროცენტი - ქვემო ქართლში, 15.3 პროცენტი - კახეთში, 12.2 პროცენტი - იმერეთში, 12.2 პროცენტი - შიდა ქართლში, 10.2 პროცენტი - სამეგრელო-ზემო სვანეთში მდებარეობს, ხოლო დანარჩენი 26.5 პროცენტი სხვა რეგიონებშია განთავსებული:

საქართველოში მოქმედი ცხოველთა და ფრინველთა სასაკლაოები რეგიონების მიხედვით, 2019 წლის III კვარტალი



19.11.2019

გამოკვლევის შედეგების მიხედვით, 2019 წლის III კვარტლის განმავლობაში სასაკლაოებში დაკლულია 135.0 ათასი სული პირუტყვი, მათ შორის 28.1 პროცენტი მსხვილფეხა, ხოლო 71.9 პროცენტი-წვრილფეხა (ცხვარი, თხა, ღორი და სხვა). გარდა ამისა, საანგარიშო პერიოდის განმავლობაში სასაკლაოებში დაკლული ფრინველის რაოდენობა 2 714.0 ათასი ერთეულით განისაზღვრა.

სასაკლაოების მიერ 2019 წლის III კვარტლის განმავლობაში 10 090.0 ტონა ხორცი იქნა წარმოებული (იგულისხმება დაკლული წონა, ფრინველის ხორცის ჩათვლით), საიდანაც 35.7 პროცენტი მოდის მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ხორცზე, 39.4 პროცენტი - ფრინველის, 17.9 პროცენტი - ღორის, 6.8 პროცენტი - ცხვრისა და თხის ხორცზე, ხოლო დანარჩენს უმნიშვნელო წილი უკავია.

მომსახურება გაეწია 10.4 ათას პირს, საიდანაც 39.1 პროცენტი შინამეურნეობების (ოჯახური მეურნეობები) სახით იყვნენ წარმოდგენილნი. სასაკლაოებში დასაქმებულთა საშუალო თვიურმა რაოდენობამ 889 კაცი შეადგინა.

ერთეული პირუტყვის დაკვლაზე მომსახურების საშუალო ფასი შეადგენს: მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის დაკვლის საფასური - 24.9 ლარი, ცხვრის ან თხის - 10.7 ლარი, ხოლო ღორის - 22.8 ლარი.

სამაცივრე მეურნეობები

2019 წლის III კვარტალში საქართველოში 86 ერთეული სამაცივრე მეურნეობა ფუნქციონირებდა, რომელთა უმრავლესობაც შიდა ქართლის (47.7 პროცენტი) და ქვემო ქართლის (14.0 პროცენტი) რეგიონებშია განთავსებული. მოქმედი სამაცივრე მეურნეობები ასევე განთავსებულია ქ. თბილისში (10.5 პროცენტი), კახეთის (10.5 პროცენტი), სამეგრელო-ზემო სვანეთის (7.0 პროცენტი), იმერეთის (4.7 პროცენტი), მცხეთა-მთიანეთის (3.5 პროცენტი), გურიის (1.2 პროცენტი) და სამცხე-ჯავახეთის (1.2 პროცენტი) რეგიონებში:

საქართველოში მოქმედი სამაცივრე მეურნეობები რეგიონების მიხედვით, 2019 წლის III კვარტალი



2019 წლის III კვარტლის განმავლობაში მომსახურება გაეწია 342 მომხმარებელს. მწარმოებელთა და გადამყიდველთა რაოდენობამ, რომელთაგანაც შესყიდულ იქნა პროდუქცია - 198 ერთეული შეადგინა, ხოლო სამაცივრეებში დასაქმებულთა საშუალოთვიური რაოდენობა 975 კაცით განისაზღვრა.

2019 წლის III კვარტლის განმავლობაში მაცივრებში შენახული (განთავსებული) იყო 56.9 ათასი ტონა პროდუქცია, მათ შორის 58.3 პროცენტი ქათმის ხორცი (გაყინულის ჩათვლით), 20.5 პროცენტი პირუტყვის ხორცი და ხორცპროდუქტები (ნახევარფაბრიკატების ჩათვლით), 11.8 პროცენტი ხილი და ბოსტნეული, 6.1 პროცენტი თევზეული, ხოლო დანარჩენ პროდუქციას უმნიშვნელო წილი ჰქონდა:

მაცივრებში შენახული პროდუქტების სტრუქტურა, 2019 წლის III კვარტალი



სამაცივრე მეურნეობების მიერ შემდგომი რეალიზაციის მიზნით 2019 წლის III კვარტლის განმავლობაში შესყიდულია 5.7 ათასი ტონა პროდუქცია. რაც შეეხება მომსახურების საფასურს - 3.3 მლნ. ლარი შეადგინა.

2019 წლის III კვარტლის განმავლობაში სამაცივრე მეურნეობების მიერ გაყიდულია 40.2 მლნ. ლარის ღირებულების (9.1 ათასი ტონა) პროდუქცია, საიდანაც ღირებულებით გამოსახულებაში შედარებით დიდი ნაწილი (38.7 პროცენტი) იყო ადგილობრივი (საკუთარი) წარმოების. ამასთან, სამაცივრეების მიერ გაყიდული ადგილობრივი (საკუთარი) პროდუქციის 91.6 პროცენტი მოდიოდა ქათმის ხორცზე. იმპორტირებული პროდუქციის მნიშვნელოვან მოცულობას პირუტყვის ხორცი და ხორცპროდუქტები (ნახევარფაბრიკატების ჩათვლით) (68.0 პროცენტი) და ქათამის ხორცი (გაყინულის ჩათვლით) (23.7 პროცენტი) წარმოადგენდა.

სამაცივრეების მიერ გაყიდული პროდუქციიდან უცხოურ ბაზარზე ქათმის ხორცი, თევზეული, ხილი და ბოსტნეული იქნა რეალიზებული.

გამოკვლევის შედეგების მიხედვით, კამერების საშუალო დღიური დატვირთვა (პროცენტულად კამერების ჯამური ტევადობიდან) ივლისში შეადგენდა 43.9 პროცენტს, აგვისტოში - 47.8 პროცენტს, ხოლო სექტემბერში 48.6 პროცენტს.

ელევატორები

2019 წლის III კვარტალში საქართველოში 23 ელევატორი ფუნქციონირებდა, რომელთა უმრავლესობაც ქვემო ქართლის (39.1 პროცენტი) რეგიონში იყო განთავსებული. ელევატორების 26.1 პროცენტი ფუნქციონირებს შიდა ქართლის რეგიონში, 17.4 პროცენტი ქ.თბილისში, 13.0 პროცენტი - სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში და 4.3 პროცენტი გურიის რეგიონში:

საქართველოში მოქმედი ელევატორები რეგიონების მიხედვით, 2019 წლის III კვარტალი



2019 წლის III კვარტლის განმავლობაში მომსახურება გაეწია 28 მომხმარებელს, მწარმოებელთა და გადამყიდველთა რაოდენობამ, რომელთაგანაც შესყიდულ იქნა პროდუქცია - 82 ერთეული შეადგინა, ხოლო ელევატორებში დასაქმებულთა საშუალოთვიური რაოდენობა 931 კაცით განისაზღვრა.

2019 წლის III კვარტლის განმავლობაში ელევატორებში შენახული (განთავსებული) იყო 213.1 ათასი ტონა პროდუქცია, რომლის 88.1 პროცენტს წარმოადგენდა ხორბალი, ხოლო დანარჩენ პროდუქციას (სიმინდი, ქერი, ქატო და ა.შ) უმნიშვნელო წილი ჰქონდა:

ელევატორში შენახული პროდუქტების სტრუქტურა, 2019 წლის III კვარტალი



2019 წლის III კვარტლის განმავლობაში ელევატორების მიერ გაყიდულია 61.7 მლნ. ლარის ღირებულების 80.9 ათასი ტონა პროდუქცია, საიდანაც 71.7 პროცენტი იყო ადგილობრივი (საკუთარი) წარმოების.

ადგილობრივი (საკუთარი წარმოების) წარმოშობის პროდუქციაში, როგორც მოცულობის, ისე ღირებულების მიხედვით, ჭარბობდა ხორბლის ფქვილი, რომელზეც მოდიოდა ელევატორების მიერ გაყიდული ადგილობრივი პროდუქციის 82.5 პროცენტი.

გამოკვლევის შედეგების მიხედვით, ელევატორების საცავების საშუალო დღიური დატვირთვა (პროცენტულად საცავების ჯამური ტევადობიდან) ივლისში შეადგენდა 37,9 პროცენტს, აგვისტოში - 40.1 პროცენტს, ხოლო სექტემბერში 38.0 პროცენტს.

საკონტაქტო პირები:
გიორგი სანაძე ტელ: 2 36 72 10 (200), E-mail: gsanadze@geostat.ge
მარიამ ყაველაშვილი, ტელ: 2 36 72 10 (020), E-mail: mkavelashvili@geostat.ge